



2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგი

ბეჭდური მედიის მონიტორინგი

24 მაისი - 14 ივნისი, 2014

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“ (CDI) ატარებს მედიამონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის“ ფარგლებში. მონიტორინგი ხორციელდება 2014 წლის 15 აპილიდან 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით და მოიცავს 7 გამოცემას: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „ვერსია“, „კვირის ქრონიკა“, „კვირის პალიტრა“.

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მედიამონიტორინგის შედეგები 24 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით.

მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მონიტორინგისთვის შერჩეულ ყველა გამოცემაში კვლავ ჭარბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა.
- ამ პარტიის მიმართ განსაკუთრებულად კრიტიკული განწყობა გვხვდება გაზეთებში: „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ვერსია“, „კვირის ქრონიკა“.
- ნაკლები სიხშირით შუქდებოდა მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო საქმიანობა; გამოცემები მეტ ყურადღებას უთმობენ პოლიტიკური პარტიებისა და სახელისუფლებო ძალების გაშუქებას.
- მერობის კანდიდატებს შორის უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატის, ნიკა მელიას, გაშუქებისას იკვეთება.
- ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევები გვხვდება გამოცემებში „ალია“, „ასავალ-დასავალი“ და „კვირის ქრონიკა“.
- მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, მონიტორინგის წინა პერიოდებისგან განსხვავებით, ჟურნალისტთა ტექსტებში შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია ნაკლებად შეგვხვდა გაზეთებში: „ახალი თაობა“ და „ვერსია“.

რეზონანსი

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „რეზონანსი“ კვლავ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გამოცემაში არ შეიმჩნეოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.


მონიტორინგის ამ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (29%), კოალიცია „ქართული ოცნების“ (23%), მთავრობისა (16%) და პრემიერმინისტრის (9%) საქმიანობა გაშუქდა. მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი გამოიკვეთა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (19%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 1). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი ტონი ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. „რეზონანსის“ ჟურნალისტები მონიტორინგის პერიოდში თავს იკავებდნენ პოლიტიკური შეფასებებისა და დაუსაბუთებელი მსჯელობისგან.

თბილისის მერობის კანდიდატების გაშუქებისას გაზეთში ჭარბობს ნეიტრალური ტონის მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა 2). დადებითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატს, დავით ნარმანიას, ერგო (21%).


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „რეზონანსში“ შეგვხვდა არაერთი სტატია, სადაც მაღალ დონეზე იყო დაცული ინფორმაციის წყაროთა ბალანსი და წარმოდგენილი იყო განსხვავებული პოზიციები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ (მაგალითად: „ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ მსგავსება და განსხვავება“, 26.05.2014, გვ. 1). თბილისის მერობის კანდიდატთა გაშუქებისას, აღსანიშნავია, რომ გამოცემაში შეგვხვდა ისეთი სტატიები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კანდიდატთა შეხედულებები ამა თუ იმ პრობლემური საკითხის შესახებ (მაგალითად: „მერობის მსურველთა საბინადრო პოლიტიკა“, 11.06.2014, გვ. 3).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასვენათ, რომ მონიტორინგის მესამე პერიოდში „რეზონანსი“ კვლავ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გაზეთში დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

(დიაგრამა 1, სუბიექტების გაშუქება, „რეზონანსი“)



(დიაგრამა 2, მერობის კანდიდატების გაშუქება, „რეზონანსი“)



ალია

მონიტორინგის აღნიშნულ პერიოდში „ალია“ კვლავ გამოირჩეოდა საკმაოდ კრიტიკული განწყობით სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ. გაზეთი განსაკუთრებით კრიტიკული იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ხშირ შემთხვევებში ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა, არაეთიკური გამონათქვამები, შეურაცხყოფელი ტერმინოლოგია, დაუზუსტებელი


ფაქტებისა და ნაკლებად სანდო წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (44%), კოალიცია „ქართული ოცნების“ (14%), პრემიერმინისტრისა (13%) და მთავრობის (11%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (51%) და კოალიცია „ქართული ოცნების“ (28%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 3). მერობის კანდიდატა წინასაარჩევნო საქმიანობა „ალიას“ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში აქტიურად არ გაუშუქებია.

მონიტორინგის მესამე პერიოდში, ისევე, როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, „ალიაში“ არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ჟურნალისტთა მხრიდან სხვადასხვა პოლიტიკოსის სუბიექტურ შეფასებებში, ჟურნალისტთა მიერ შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებაში და ნაკლებად სანდო წყაროზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნებაში. მაგალითად: „ეკ, ჩემო ნაპრეზიდენტალო“, რაც დაგვტოვე, სულ ამოვარდნილხარ ფორმიდან, გაფიჟინებულხარ, უფრო მეტად გასულელებულხარ და „გაბომჟებულ“ – „გადიშოვკებულხარ“, „ვაა, შენ ხარ გივი?! „ბოზობაზედ“ გიცან „! ხედავთ ხალხნო, რა დღეშია „ჭემმარტი ოპოზიცია“?! გივის ბოზობის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული „რიჟამ“ „ახია“, ამ ქვეყანაში ბოზობაც დასწრებაზეა!“, „მაკა კილაძის აღშფოთებული „ნააზრევის“ ერთი „ფრთიანი“ ფრაზა, ზუსტი ეპითეტია იმ რეჟიმის, რაც „ნაციონალებს“ ჰაკიმ ფაშამ მოუწყო ქართველ ხალხს, და რა არის „ნაციონალური მოძრაობა“? – „სატანაა, ეს დედა მოტ...ლი“ („ ჩემო ნაპრეზიდენტალო“ რაც დაგვტოვე, სულ უფრო მეტად გასულელებულხარ...“, 12.06.2014, გვ. 3-4).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ალია“ კვლავ საკმაოდ დაუბალანსებლად და არაობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებს. გაზეთში ნათლად შეიმჩნევა უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში არაერთხელ დაფიქსირდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. „ალიას“ ჟურნალისტები არ ერიდებიან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას ამა თუ იმ პოლიტიკოსის გაშუქებისას.

(დიაგრამა 3, სუბიექტების გაშუქება, „ალია“)




კვირის პალიტრა

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „კვირის პალიტრა“ კვლავ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გამოცემაში არ შეიმჩნეოდა განსაკუთრებულად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „კვირის პალიტრაში“ მომატებულია პრემიერმინისტრისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (32%), კოალიცია „ქართული ოცნების“ (21%), პრემიერმინისტრისა (15%) და მთავრობის (12%) საქმიანობა გაშუქდა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ერგო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ (49%) და პრემიერმინისტრს (48%) (იხ. დიაგრამა 4). პრემიერმინისტრის გაშუქებისას უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი უმეტეს წილად განაპირობა ნიკა მელიას ვრცელმა ინტერვიუმ, სადაც ის კრიტიკულად აფასებს პრემიერის საქმიანობას („უფულავას შეცდომა ის გახლდათ, რომ მერიც იყო და პარტიის ხელმძღვანელიც“, 15.06.2014, გვ. 7). ასევე, როგორც პრემიერის, ისევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტ მერაბ მეტრეველის საავტორო რუბრიკაშიც (მაგალითად: „მერაბ მეტრეველის კვირის ფიქრები“, 9.06.2014, გვ. 11). მერობის კანდიდატა წინასაარჩევნო საქმიანობა „კვირის პალიტრას“ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში აქტიურად არ გაუშუქებია.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის პალიტრა“ კვლავ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. მონიტორინგის მესამე პერიოდში გაზრდილია უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და პრემიერმინისტრის გაშუქებისას.

(დიაგრამა 4, სუბიექტების გაშუქება, „კვირის პალიტრა“)



ასავალ-დასავალი

მონიტორინგის აღნიშნულ პერიოდში „ასავალ-დასავალი“ კვლავ გამოირჩეოდა უკიდურესად კრიტიკული განწყობით როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ასევე კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ. სტატიებში სისტემატურად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ხშირი იყო ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალმა“ უკიდურესად არაობიექტურად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები.


მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (27%), პრემიერმინისტრი (22%), პრეზიდენტი (11%) და კოალიცია „ქართული ოცნება“ (10%) გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა კოალიცია „ქართული ოცნების“ (98%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (93%), პარლამენტის თავმჯდომარის (93%), პრეზიდენტისა (88%) და მთავრობის (71%) გაშუქებისას (იხ. დიაგრამა 5).

უარყოფითი ტონის ყველაზე დაბალი პროცენტული მაცვენებელი „ბურჯანაძე -ერთიან ოპოზიციას“ (4%), ხოლო დადებით ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრემიერმინისტრს (11%) ერგო. მერობის კანდიდატა წინასაარჩევნო საქმიანობა „ასავალ-დასავალს“ აქტიურად არ გაუშუქებია.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ასავალ-დასავალში“ წარმოდგენილი იყო უმეტესად ისეთი რესპონდენტების კომენტარები თუ ინტერვიუები, რომლებიც უარყოფითად იყვნენ განწყობილი როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ასევე კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ. ამ პარტიების მიმართ სუბიექტურ მსჯელობასა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას არც გაზეთის ჟურნალისტები ერიდებოდნენ; მაგალითად: „აღარაფერს ვამბობ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მასობრივად მეოცნებეებად - ლურჯად გადაღებულ ნაც მელიებზე!“ („მოქცავშირის ნაციონალური ოცნება!“, 2.06.2014, გვ. 8), „მოკლედ, სააკაშვილისა არ იყოს, მეოცნებეებსაც ერთი სული აქვთ, ვინმემ „დემოკრატიის შუქურა“ ან თუნდაც „ლამპოჩკა“ შეარქვას“ („ქართული ოცნება აფრიკულად“, 9.06.2014, გვ. 23). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით გაზეთში შედარებით შემცირებულია ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ასავალ-დასავალი“ კვლავ უკიდურესად არაობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გაზეთში სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გამოცემაში უკიდურესად გაიზარდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკა.

(დიაგრამა 5, სუბიექტების გაშუქება „ასავალ-დასავალი“)



ახალი თაობა


მონიტორინგის ამპერიოდში „ახალ თაობაში“ აღარ შეგვხვდრია ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. გამოცემამ საკმაოდ ობიექტურად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, თუმცა კვლავ ჭარბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ყველაზე ინტენსიურად კოალიცია „ქართული ოცნების“ (19%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (18%), მთავრობისა (17%) და „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ (15%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებლები ერგოთ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (42%) და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (31%) (იხ. დიაგრამა 6). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი ტონი ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. „ახალი თაობის“ ჟურნალისტები მონიტორინგის მოცემულ პერიოდში თავს იკავებდნენ პოლიტიკური შეფასებებისა და დაუსაბუთებელი მსჯელობისგან.

მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო საქმიანობა „ახალ თაობას“ აქტიურად არ გაუშუქებია.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „ახალ თაობაში“ შეინიშნება პოზიტიური ცვლილებები ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვის კუთხით. გამოცემაში აღარ გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. „ახალმა თაობამ“ საკმაოდ ობიექტურად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, თუმცა გაზეთში კვლავ ჭარბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ კრიტიკა.

(დიაგრამა 6, სუბიექტების გაშუქება, „ახალი თაობა“)



ვერსია


მონიტორინგის აღნიშნულპერიოდში „ვერსიაში“ კვლავ შეიმჩნეოდა საკმაოდ კრიტიკული განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ახალი ამბების გაშუქებისას გაზეთში უმეტესად დაცული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები, ხოლო საავტორო სტატიებში ხშირ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სუბიექტურ და საუსაბუთოებელ მსჯელობას.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად მთავრობის (36%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (32%), კოალიცია „ქართული ოცნებისა“ (13%) და პრემიერმინისტრის (9%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (40%) გაშუქებისას. დადებითი ან უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები სხვა სუბიექტების გაშუქებისას არ დაფიქსირებულა (იხ. დიაგრამა 7). უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მერობის კანდიდატებს შორის უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (39%) ნიკა მელიას გაშუქებისას გამოიკვეთა (იხ. დიაგრამა 8).


მონიტორინგის წინა პერიოდებთან შედარებით „ვერსიაში“ შეიმჩნევა პოზიტიური ცვლილებები ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვის კუთხით. კერძოდ, ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების კუთხით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთის ჟურნალისტები არ ერიდებიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას საკუთარი უარყოფითი განწყობის გამოხატვას. მონიტორინგის პერიოდში ამ პარტიის კრიტიკას არაერთი ვრცელი სტატია დაეთმო (მაგალითად: „ბარამიძის ევრობაირამობა“, 4.06.2014, გვ.3; „ნაცმოძრაობის უკრაინული ფულით დაფინანსების საიდუმლო სქემა“, 9.06.2014; „ბარამიძის ევრობაირამობა -2“, 11.06.2014).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ვერსია“ კვლავ საკმაოდ კრიტიკულად არის განწყობილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. თუმცა, გაზეთში საგრძნობლად შემცირებულია ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები.

(დიაგრამა 7, სუბიექტების გაშუქება, „ვერსია“)



(დიაგრამა 8, მერობის კანდიდატების გაშუქება, „ვერსია“)



კვირის ქრონიკა

მონიტორინგის ამ პერიოდში „კვირის ქრონიკა“ კვლავ საკმაოდ არაობიექტურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. გაზეთი გამოირჩეოდა უკიდურესად უარყოფითი განწყობით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ხშირად შეგვხვდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. „კვირის ქრონიკის“


ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ სუბიექტურ მსჯელობასა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენებას სხვადასხვა პოლიტიკოსის მიმართ.

მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ინტენსიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (35%), კოალიცია „ქართული ოცნების“ (19%), პრემიერმინისტრისა (15%) და მთავრობის (10%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (52%) გაშუქებისას (იხ. დიარგამა 9). უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები ერგოთ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (25%) და მთავრობას (23%). თბილისის მერობის კანდიდატთა გაშუქებისას დადებითი ან უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები არ დაფიქსირებულა (იხ. დიარგამა 10).


მონიტორინგის მოცემულ პერიოდში „კვირის ქრონიკაში“ არაერთხელ შეგვხვდა ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ამა თუ იმ პოლიტიკოსის, უმეტეს შემთხვევებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა, მიმართ. მაგალითად: „მიხეილ სააკაშვილს მერკელი შეშლილსა და „ფაქინგ ლუნატს“ ეძახდა და მისი მოწვევით თავი არასოდეს მოუკლავს...“ („რატომ მიდის მეორედ ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიაში?“, 02.06.2014, გვ. 3), „მორჩა, დამთავრდა, ხომ შეიძლება, ერთხელ თავზე ხელი მეც ავიღო და ლექსი დავწერო? აი მაგალითად ასეთი?– „ტელევიზორში ვუყურებ, გამო..ლევებულ „ნაცებსა“, ზოგს დაბოლილი სახე აქვს, ზოგი გავს მაგრად ნაცემსა.“ („ეტყობა პარლამენტიდან სულ სხვანაირად ჩანს ეს ქვეყანა“, 2.06.2014, გვ. 33). „კვირის ქრონიკის“ ჟურნალისტები ხშირად იყენებდნენ ტერმინს „ნაცზონდერები“. ასევე, შეგვხვდა არაერთი შემთხვევა, როდესაც სტატიის სათაურად გამოყენებული იყო რესპონდენტის უკიდურესად შეურაცხმყოფელი ციტატა; მაგალითად: „წადით, თქვენ მაიმუნ დედასაც შევე..ით! ახლა ვისაც ჩემი ნათქვამი არ მოეწონება, იმის დედასაც შევე..ი!“ (26.05.2014, გვ. 29).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის ქრონიკა“ კვლავ საკმაოდ არაობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. გაზეთში სისტემატურად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

(დიაგრამა 9, სუბიექტების გაშუქება, „კვირის ქრონიკა“)



(დიაგრამა 10, მერობის კანდიდატების გაშუქება, „კვირის ქრონიკა“)



დასკვნა

მონიტორინგის მოცემულ, მესამე პერიოდში, ისევე, როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, ქართულ ბეჭდურ მედიაში კვლავ საკმაოდ ხშირად ირღვევა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. ხშირ შემთხვევებში ჟურნალისტები არ ერიდებიან სუბიექტურ და დაუსაბუთებელ მსჯელობას. მეტიც, მონიტორინგისთვის შერჩეულ გამოცემებში ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტთა ტექსტებში შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგია ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები მკვეთრად შემცირდა გამოცემებში „ახალი თაობა“ და „ვერსია“. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების განსაკუთრებულად უხეში დარღვევის შემთხვევები სისტემატურად გვხვდებოდა გაზეთებში „ასავალ-დასავალი“ და „კვირის ქრონიკა“ და „ალია“.

მონიტორინგისთვის შერჩეულ ყველა გამოცემაში ჭარბობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა. უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად მონიტორინგისთვის შერჩეული გაზეთების უმრავლესობაში არ გაზრდილა მერობის კანდიდატთა გაშუქების სიხშირე. გამოცემები კვლავ მეტ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენელთა საქმიანობას.